ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მიხეილ სამხარაძე

წევრები:

ნინო ფეტვიაშვილი

ბარბარე გონაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 205083112

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს 706 ბრძანების საფუძველზე, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში. დაწესებულებას სურს „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლა-კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული სრული ინფორმაცია. აღნიშნულის შესწავლის საფუძველზე ექსპერტებმა შეადგინეს დღის წესრიგი, რომელიც ცენტრთან შეთანხმების შემდეგ მიეწოდა დაწესებულებას.

2018 წლის 23-24 აგვისტოს დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი. ექსპერტები პირველ დღეს გაესაუბრნენ სკოლა-კოლეჯის დირექტორს, რომელმაც ექსპერტებს სამუშაოდ გამოუყო კომპიუტერული კლასი, სადაც წინასწარ იყო გამზადებული დღის წესრიგით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ექსპერტები შეხვდნენ პროგრამების ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ვიზიტის მეორე დღეს (24 აგვისტო) ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტებმა შეამოწმეს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაათვალიერეს სასწავლო ფართი. დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა მისაღებად მიიჩნიეს ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

(ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და საფინანსო სერვისები)

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს სკოლის პროგრამასთან ინტეგრირებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სკოლის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ პროფესიული განათლება.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.4

დაწესებულებას არ აქვს დაცული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი (ერთი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს არ აქვს წარმოდგენილი პირადი განცხადება ან რაიმე დოკუმენტი, რომელიც გახდებოდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი);

დაწესებულებას არ აქვს დაცული შიდა მობილობის წესი („პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით განსაზღვრულია, რომ შიდა მობილობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, თუმცა დაწესებულებამ ორი პროფესიული სტუდენტების მობილობა განახორციელდა სწავლის დაწყებამდე).

ქვესტანდარტი 2.1 (ბ)

დაწესებულებას სრულად არ აქვს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

VI. რეკომენდაციების შეჯამება

მისია: მისია არ საჭიროებს დამტკიცებას, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს მისია, რომელიც იქნება მოკლე, მკაფიო და მასში აისახება თუ რა, რატომ, ვისთვის კეთდება.

1.1 სასურველია დაწესებულებამ „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მე-5 მუხლში მიუთითოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და სასწავლო პროცესში ცვლილების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი/პირები;

გადაიხედოს და თანხვედრაში იქნას მოყვანილი მარეგულირებელი წესის მოთხოვნები. მეტი გამჭვირვალობისთვის გაიმიჯნოს და დაზუსტდეს როგორც საგნების, ასევე ზოგადი მოდულებისა და დარგობრივი მოდულების აღიარების რეგულაციები.

დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს მოდულური პროგრამების განხორციელებისთვის თანამშრომელთა მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი საწარმოებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად და ითვალისწინებდეს მასწავლებლების ვალდებულებას კალენდარული გეგმების შედგენის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნის, მტკიცებულებების შეგროვება შენახვის/პირობებისა და ვადების შესახებ;

„საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს მემორანდუმი/ხელშეკრულება ისეთი ტიპის საფინანსო კომპანიასთან, სადაც პროფესიული სტუდენტები „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში უშუალოდ გაივლიან საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

დაწესებულებამ მოახდინოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლაზე, პრაქტიკის ობიექტების მხრიდან, პასუხისმგებელი პირებისთვის მოდულის სტრუქტურის, სწავლის შედეგების და შეფასების მიდგომების დეტალური გაცნობა;

დაწესებულებამ წესრიგში მოიყვანოს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის 3.3 პუნქტი (სასწავლო გარემო - პრაქტიკის ობიექტები);

1.2 სასურველია, თუ დაწესებულება არ დაამტკიცებს კატალოგს, რადგან კატალოგი არ არის ფორმალური დოკუმენტი.

1.4 დაწესებულებამ წესრიგში მოიყვანოს „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“:

- მუხლი 6.1 - რადგან ბრძანება N9/ნ ძალადაკარგულია, მოხდეს აღნიშნული ჩანაწერის კორექტირება;
- მუხლი 6.2 - კონკრეტულად განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების პროცედურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

- მუხლი 8.4 - მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის შეტანის ვადების განსაზღვრა კანონმდებლობის შესაბამისად;
- მუხლი 10.3 - მოხდეს „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების განმარტება „ავადმყოფობასთან“ და „მოქმედ კანონმდებლობასთან“ დაკავშირებით;
- მუხლი 11 – მოხდეს „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერის ამოღება კვოტის გადაცილებასთან დაკავშირებით;
- მუხლი 12.1 - მოხდეს „ე“ ქვეპუნქტების განმარტება „უხეშ და არაეთიკურ დამოკიდებულებასთან“ დაკავშირებით;
- მუხლი 12.2 - მოხდეს სამართლებრივი აქტის გამოცემიდან შედეგის დადგომამდე არსებული გონივრული ვადის განსაზღვრა.

საგნების/მოდულების აღიარების შემთხვევაში, დაწესებულებამ ასახოს სასკოლო საგნის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგნის/მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობა.

1.6 დაწესებულების მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებში და „ხარისხის მართვის და ინოვაციის სამსახურის“ წლიურ სამოქმედო გეგმებში ასახული ნაბიჯები/აქტივობები იყოს უფრო მკაფიო და თანმიმდევრული, განისაზღვროს თითოეული აქტივობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. ეს პროცედურები განხორციელებული იყოს არა მხოლოდ „ხარისხის მართვისა და ინოვაციის სამსახურისა“ და დირექციის მიერ, არამედ ამ პროცესში აქტიურად ჩართონ პროგრამის ხელმძღვანელები და მოდულების განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.

2.3 სასურველია, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსდეს რამდენიმე კომპიუტერი, რომლითაც პროფესიული სტუდენტები შეძლებენ სკოლა-კოლეჯის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალების გამოყენებას.

2.5 დაწესებულებამ წესრიგში მოიყვანოს ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი (ჟურნალი იხურებოდეს ყოველწლიურად და ახლიდან იწყებოდეს ნუმერაცია).

კანცელარიის დებულებაში მითითებული „კანცელარიის უფროსის“ თანამდებობა შესაბამისობაში მოიყვანოს საშტატო განრიგთან.

2.6 დაწესებულებამ შეიმუშაოს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი.

2.8 სასურველია, თუ დაწესებულება საიტზე განათავსებს 1 წლიან სამოქმედო და 6 წლიან სტრატეგიულ გეგმებს, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს.

2.9 დაწესებულებამ ინტეგრირებული სასწავლო საქმიანობისა და მისიის შესაბამისად, გააერთიანოს სკოლა-კოლეჯის გრძელვადიანი გეგმები და ჰქონდეს ერთი გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული გეგმა და ერთი სამოქმედო გეგმა 2018-2019 სასწავლო წლისთვის, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

განსაზღვრული და გათვალისწინებული იქნება სკოლისა და კოლეჯის საქმიანობები და სხვა აუცილებელი კომპონენტი.

3.1 დაწესებულებამ წესრიგში მოიყვანოს პერსონალის პირადი საქმეები (პირადი საქმის შემადგენლობა შეივსოს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტებით);

დაწესებულებამ თითოეული თანამდებობისთვის განსაზღვროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.3 სასურველია, პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პუნქტის სახით დაემატოს განხორციელების ადგილი;

დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პროგრამის მდგრადობის მიზნით, გაახანგრძლივოს პროგრამის დასრულებამდე.

VII. დაწესებულების მისია

სკოლა-კოლეჯის მისიაა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, მათი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება;

სკოლა-კოლეჯი ორიენტირებულია ზოგადი და პროფესიული განვითარების თანამედროვე პრინციპებსა და მოდელებზე, სასწავლო პროცესის ხარისხსა და პედაგოგების პროფესიონალიზმზე, პროფესიული განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირებასა და მოსწავლეთათვის შესაბამისი წინაპირობის შექმნაზე, მომავალი არჩევანის გაკეთებაზე, კარიერის დაგეგმვასა და შემდგომ სწრაფ დასაქმებაზე;

სკოლა-კოლეჯი ხელს უწყობს ისეთი სასკოლო და პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას (შექმნას), რომელიც თითოეულ მოსწავლეს/პროფესიულ სტუდენტს მისცემს გადაწყვეტილების მიღების, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარს და ჩამოაყალიბებს მას კანონმორჩილ, ტოლერანტულ მოქალაქედ;

დიმიტრი ყიფიანი ბრძანებდა: – „მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც მეტყველებს და აზროვნებს მშობლიურ ენაზე“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი“ წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესს საბაზო და საშუალო საფეხურზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ინტეგრირებულად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის დამატებაც სურს სკოლა-კოლეჯს დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N05/18 ბრძანებით, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესამუშავებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ოქმის საფუძველზე.

დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 1-ის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირია - სკოლა-კოლეჯის დირექტორი. ამავე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დგება პროგრამის ხელმძღვანელის, სკოლა-კოლეჯის ხარისხის განვითარებისა და ინოვაციის სამსახურის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით. ასევე, მუხლი 5-ის მიხედვით განსაზღვრულია, რომ *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და სასწავლო პროცესის განხორციელებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგის ანალიზისა და შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე“*, თუმცა არ არის მითითებული ცვლილებაზე უფლებამოსილი პირი/პირები.

აღსანიშნავია, რომ დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებულ სკოლა-კოლეჯის *„წესდება (დებულება)“*-ში გაწერილი 8-ე მუხლის მიხედვით *„პედაგოგიური საბჭო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

სასწავლო გეგმებს და პროფესიულ პროგრამებს“, რაც წინააღმდეგობაში მოდის *„მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესთან“.*

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დაამტკიცა ახალი „წესდება (დებულება)“, რომლის მიხედვითაც აღნიშნული უზუსტობა აღმოფხვრილია და მუხლი 8 ფორმირებულია შემდეგნაირად *„პედაგოგიური საბჭო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმებს და პროფესიულ პროგრამებს“.*

„საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები (მათ შორის ქართული ენის მოდული), სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია. აღსანიშნავია რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გარდა სავალდებულო 60 კრედიტისა დამატებულია 2 კრედიტიანი არჩევითი მოდული - „ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება“. პროგრამებს თან ერთვის შესაბამისი მოდულები, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი და სასწავლო გეგმა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია ცალკეული მოდულების წინაპირობები. კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამებში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო მოდულებში მოდულების განმახორციელებლები.

შემოწმების შედეგად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიკვეთა შემდეგი ტექნიკური უზუსტობები:

- *დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყო „მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“, ხოლო ჩარჩო დოკუმენტში - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“;*
- *„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის ინგლისური დასახელება არ ედრებოდა ქართულს;*
- *„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის მოდულების თავფურცელზე არ იყო მითითებული პროგრამის დამტკიცების სრული რეკვიზიტები და არასწორად იყო მითითებული პროგრამის დასახელება. („ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ ნაცვლად ეწერა "ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი");*
- *„საფინანსო სერვისების“ პროგრამის სასწავლო გეგმის დანართში, „სწრაფი ფულადი გზავნილების“ მოდულისთვის გაწერილი იყო 25 საკონტაქტო საათი ნაცვლად 23-სა;*
- *„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ და „საფინანსო სერვისების“ პროგრამის განმახორციელებლების დანართით განსაზღვრული ერთი განმახორციელებელი (თამარ პაპოშვილი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება) არ იყო მითითებული არცერთ მოდულში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა „საფინანსო სერვისების“ პროგრამის ერთი ახალი განმახორციელებლის, თეიმურაზ კვინიკაძის პირადი საქმე. დაწესებულების განმარტებით აღნიშნულ განმახორციელებელთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ცენტრში განაცხადის წარდგენის შემდეგ, რის გამოც თეიმურაზ კვინიკაძე არ იყო შეტანილი „საფინანსო სერვისების“ პროგრამის განმახორციელებლების დანართში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N05/29 ბრძანებით დაამტკიცა „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2), სადაც ზემოაღნიშნული ტექნიკური უზუსტობები აღმოფხვრილი იქნა. ასევე „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დანართიდან ამოღებული იქნა ანგელინა ანთია და მის ნაცვლად დაემატა თეიმურაზ კვინიკაძე.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სკოლა-კოლეჯის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით მითითებულ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:

1. სკოლა-კოლეჯის მისია;
2. სასკოლო საათობრივი ბადე;
3. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება;
4. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის შერჩეული გრიფირებული და დამატებითი სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოები;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა;
6. სადამრიგებლო პროგრამა;
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში (ინკლუზიური განათლების პროგრამა).

სკოლა-კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესს პროფესიული სტანდარტით შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან (საგნობრივი) ინტეგრირებულად. საგნობრივი პროფესიული პროგრამები გაწერილია ორ წელზე. ამისათვის სკოლა-კოლეჯის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სასწავლო კურსები როგორც ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო, ასევე ესგ-ით გაუთვალისწინებელი სასწავლო კურსების სახით. ესგ-ის მიხედვით სკოლას უფლება აქვს, ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაანაწილოს სხვა საგნებს შორის. სკოლას ეს უფლება გამოყენებული აქვს მე-11 კლასში, ხოლო მე-12 კლასში ამის აუცილებლობა არ არის. ამას გარდა, საგნობრივი გადაფარვის თავიდან ასაცილებლად, საათობრივ ბადეში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი საგნობრივი კურსები, რომლებიც ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიც, ჩასმულია როგორც არჩევითი საგანი. მაგალითად, სამედიცინო ანატომია ისწავლება საბუნებისმეტყველო პროფილის მე-11 კლასში როგორც არჩევითი საგანი. რაც შეეხება დარგობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

სავალდებულო კურსებს, მაგალითად, კბილის პროტეზირება ისწავლება როგორც ესგ-ით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგანი. დანარჩენი დარგობრივი საგნები გადანაწილებულია შაბათ დღეებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენლების ახსნით, ისინი ასეთივე მიდგომით იხელმძღვანელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების დამატებისა და განხორციელების შემთხვევაში, რისთვისაც წარმოადგინეს საგაკვეთილო ცხრილის სამუშაო ვერსია. ცხრილში იკითხება, როგორც ესგ-ით გათვალისწინებული საგნობრივი კურსები, ასევე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამების ზოგადი და დარგობრივი მოდულები, რისთვისაც წარმოადგინეს სასწავლო გეგმა და საგაკვეთილო ცხრილის სამუშაო ვერსია (დანართი 10). წარმოდგენილ ცხრილშიც გათვალისწინებულია ესგ-ის დაშვება (კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადანაწილება სხვა საგნებს შორის). სადაც ინტეგრირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საგნები და პროფესიული პროგრამებით განსაზღვრული ზოგადი და დარგობრივი მოდულები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოდულური პროგრამების ზოგადი მოდულების სასკოლო საგნებთან დუბლირების თავიდან ასაცილებლად, შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი ხელმძღვანელობს ზოგადი ტიპის კურსების აღიარების პროცედურით, რომელიც გაწერილია მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული სტანდარტით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით (საგნობრივი) გათვალისწინებული კურსების აღიარების დოკუმენტები და ბრძანებები. გამოიკვეთა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა და შეუსაბამობა საგნობრივი პროფესიული პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსების აღიარებისას.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებლებს, პროგრამების ხელმძღვანელს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული სტანდარტით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისგან (საგნობრივი) განსხვავებით, მოდულურ პროგრამებს უკეთესი სტრუქტურა აქვს და ფიქრობენ, რომ სტუდენტების მხრიდან მეტი დაინტერესება იქნება მოდულურ პროგრამების მიმართ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან საუბრისას გამოიკვეთა მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების პრაქტიკის ცოდნა და ნაკლებია მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტების (მოდულის, კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების შეგროვების მექანიზმები) შექმნის შესახებ წარმოდგენა.

ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულების განხორციელების მიზნით, გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები შპს "აითი პრო"-სთან და შპს "BMC"-სთან. ხოლო „საფინანსო სერვისების“ პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკის“, და „საწარმოო პრაქტიკის“ განხორციელების მიზნით - შპს "ალკორითეილ გრუფ", შპს "ბუღალტერთა მომზადების ცენტრი" და სს „არდი დაზღვევა“-სთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა:

- *აღნიშნული ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდა ბუღალტერიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობის სტუდენტების პრაქტიკის გატარება. დაწესებულების განმარტებით ეს იყო მექანიკური შეცდომა.*
- *„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის გაფორმებული თითოეული ხელშეკრულების მიხედვით, პროფესიული სტუდენტების მისაღები მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 10-ს, შესაბამისად აღნიშნული პროგრამისთვის დაწესებულებას ერთდროულად მაქსიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ სკოლა-კოლეჯის მიერ მოთხოვნილი კვოტა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის არის 30. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ ერთ მიღებაზე, თითოეული პროგრამისთვის, სკოლა-კოლეჯი მხოლოდ ერთ ჯგუფს მიიღებს, შესაბამისად სხვადასხვა მიღების ჯგუფებს პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი სხვადასხვა დროს მოუწევთ. ასევე „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მესამე მუხლით განსაზღვრულია, რომ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთ სასწავლო ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს“.*

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შესწორებული ხელშეკრულებები (გარდა შპს "ბუღალტერთა მომზადების ცენტრთან“ გაფორმებული ხელშეკრულებისა), სადაც მითითებულია შესაბამისი პროგრამის მოდულები, ხოლო „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის გაფორმებულ ხელშეკრულებებში სტუდენტების მისაღები მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 15-ს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „საფინანსო სერვისების“ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება აღარ აპირებს თანამშრომლობას შპს "ბუღალტერთა მომზადების ცენტრთან“, თუმცა აღნიშნული პროგრამის „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულში (3.3 სასწავლო გარემო - პრაქტიკის ობიექტები) შპს "ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“ მაინც არის მითითებული.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრნენ პრაქტიკის ხელმძღვანელებს. ექსპერტთა ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად, ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ბარბარე გონაშვილმა მოინახულეს შპს "ალკორითეილ გრუფ", შპს "ბუღალტერთა მომზადების ცენტრი" და სს „არდი დაზღვევა“. ხოლო მიხეილ სამხარაძემ, ხარისხის წარმომადგენელთან ერთად მოინახულა შპს "აითი პრო" და შპს "BMC.

შპს "აითი პრო" და შპს "BMC“-ს წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კომპანიები ეწევიან IT მომსახურებას, როგორც ადგილზე ასევე დაშორებულ ლოკაციებზე (გამოძახების მიხედვით). აღნიშნული ორგანიზაციები სკოლა-კოლეჯთან თანამშრომლობენ პროფესიული სტანდარტით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების(საგნობრივი) ფარგლებში და გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკა. პრაქტიკის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის წინასწარ ამზადებენ პრაქტიკის გეგმას და ათანხმებენ დაწესებულებასთან. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ხელმძღვანელი შპს „აითი პრო“-ს მხრიდან არ იმყოფებოდა თბილისში, ამიტომ მასთან გასაუბრება მოხდა ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შესაძლებელია „ინფორმაციის ტექნოლოგის მხარდაჭერის“ პროგრამის „პრაქტიკული პროექტის“ მოდულის განხორციელება.

შპს "ალკორითეილ გრუფ" და სს „არდი დაზღვევა“-სთან ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია „საფინანსო სერვისების“ პროგრამის, „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. შპს "ალკორითეილ გრუფის" პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის შესაბამისი გამოცდილების გასაზიარებლად კომპანია სრულ მზაობას აცხადებს. რაც შეეხება სს „არდი დაზღვევას”, პასუხისმგებელი პირის განცხადებით, კომპანია პრაქტიკის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტებს ვერ მიიღებს იმ სივრცეში, სადაც თანამშრომლები ემსახურებიან კლიენტებს (ე.წ „ფრონტში“). აღსანიშნავია, რომ „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის, მეორე სწავლის შედეგის მეხუთე *(ზუსტად იცავს კომპანიის კლიენტთან მომსახურების სტანდარტებსა და სერვის პლუსის მოთხოვნებს)* და მეექვსე *(კომუნიკაციის თავისებურებების დაცვით ურთიერთობს კლიენტთან)* შესრულების კრიტერიუმები მოითხოვს პროფესიული სტუდენტების ურთიერთობას უშუალოდ კლიენტებთან, რისი შესაძლებლობაც სტუდენტს არ ექნება პრაქტიკის წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებული პირობების შემთხვევაში.

„საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელები საჭიროებენ მოდულის სტრუქტურის, სწავლის შედეგების და შეფასების მიდგომების დეტალურ გაცნობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა-კოლეჯი 2019 წლამდე მოდულურ პროგრამებზე მიღებას არ გეგმავს და 2018 წლის სექტემბერში აპირებს პროფესიული სტანდარტით შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო (საგნობრივი) პროგრამებზე მიღებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N05/18 ბრძანებით დამტკიცებული "საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
2. დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N05/29 ბრძანებით დამტკიცებული "საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტი
4. დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-კოლეჯის „წესდება (დებულება)“
5. დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-კოლეჯის „წესდება (დებულება)“
6. დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
7. 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
8. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
9. ინტერვიუ

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

კატალოგში დამატებით ასევე ნაჩვენებია სკოლა-კოლეჯის მისია, სტუდენტური რეიტინგი, კრედიტების საფასური და აკადემიური დავალიანების დაანგარიშების წესი. აღნიშნული კატალოგი დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით.

კატალოგში არ არის შეტანილი ანონსი მოდულური პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით და სრულად პროფესიული სტანდარტით შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეა მორგებული, თუმცა დაწესებულებამ წარმოგვიდგინა 2018 წლის კატალოგის სამუშაო ვერსია, რომელშიც საგნობრივ პროგრამებთან ერთად ასევე მოცემული იყო ინფორმაცია მოდული პროგრამების შესახებ, რომლის დამატებასაც დაწესებულება გეგმავს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2017-2018 წლის კატალოგი.
2. 2018 წლის კატალოგის სამუშაო ვერსია

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტებით („ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology“ – 06112-3 და „საფინანსო სერვისები - Finance services“ - 04117-3) განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

2. დამტკიცებული პროგრამები

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის III თავის მიხედვით განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა და მიღებული განათლების აღიარება“.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება:

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესის მუხლი 6-ის პირველი პუნქტით, განსაზღვრულია, რომ „სკოლა–კოლეჯის სტუდენტი არის პირი, რომელიც *„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის ბრძანება #9/ნ–სა და სკოლა–კოლეჯის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხება და სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად”.* ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, *„პროფესიული პროგრამის გასავლელად სტუდენტის სტატუსი ენიჭება პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა გასაუბრება/ტესტირება და დადგენილ ვადაში სკოლა–კოლეჯში გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია“.*

აღსანიშნავია, რომ მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის ბრძანება #9/ნ ძალადაკარგულია. ასევე, ბუნდოვანია რას გულისხმობს მუხლი 6-ის მეორე პუნქტში აღნიშნული გასაუბრება/ტესტირება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის 8-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია *„სკოლა-კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები“,* რომელის მე-4 პუნქტის მიხედვით, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, შესაბამისი აქტის გამოცემიდან 7 დღის ვადაში უნდა შევიდეს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის ბრძანების №110/ნ მუხლი 3-ის მეორე პუნქტის მიხედვით, მონაცემები საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა შევიდეს.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება:

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესის მუხლი 10-ის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სკოლა-კოლეჯის დირექტორს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებული იქნას კანონმდებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

გათვალისწინებული ვადით. ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველები, რომლიდანაც სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველია „ავადმყოფობა“.

აღსანიშნავია, რომ სტატუსის შეჩერებისთვის არ არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, ასევე განმარტებას საჭიროებს „ავადმყოფობა“, როგორც სტატუსის შეჩერების საფუძველი.

მარეგულირებელი წესის მუხლი 11-ის ე ქვეპუნქტის მიხედვით, *„სტუდენტის სტატუსის აღდგენა სკოლა-კოლეჯში დასაშვებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას“.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №99/ნ, მუხლი 33-ის 4 პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, შესაბამისად ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ წესრიგში მოიყვანოს აღნიშნული ჩანაწერი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესის მუხლი 12-ის მიხედვით, განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია „უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება“.

ამავე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან, ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად.

„უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება“, როგორც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არის ბუნდოვანია და საჭიროებს განსაზღვრას, ასევე მიუღებელია სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტიდან, სამართლებრივი შედეგის დადგომამდე არსებული 6 თვიანი ვადა.

მობილობა და მიღებული განათლების აღიარების წესები

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესის მუხლი 13-ის მიხედვით განსაზღვრულა, რომ მობილობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ვადა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით და რეგისტრაცია ხდება განცხადების სკოლა-კოლეჯის კანცელარიაში წარმოდგენის საფუძველზე. ასევე ამავე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს პროფესიულმა სტუდენტმა მობილობის შემთხვევაში.

ამავე მუხლის 4 და 5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ სკოლა–კოლეჯში კრედიტების აღიარების მიზნით იქმნება სპეციალური კომისია, ასევე განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების პრინციპები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში შეამოწმეს აღიარების კომისიის ოქმებში, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი საგანი მეორეს ანალოგიურია, თუმცა ოქმში არ ჩანს სწავლის შედეგების მიხედვით შესაბამისობის დადგენა.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს დირექტორის 2016 წლის 8 სექტემბრის N05/09 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". დაწესებულების განმარტებით აღნიშნული დოკუმენტი ეხება საგნობრივ პროგრამებს, ხოლო დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ კი - მოდულურ პროგრამებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 12 ოქტომბრის N110 გადაწყვეტილებით, დაწესებულებისთვის ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერატი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 10 პროფესიულ სტუდენტს. დირექტორის 2018 წლის 7 ივლისის N05/25 და N05/26 ბრძანებებით (დანართი 3, დანართი 4) ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერატი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია 14 პროფესიული სტუდენტი, რაც შეუსაბამობაშია ავტორიზაციის დებულების 33 მუხლის მე-4 პუნქტთან.

ზემოაღნიშნული ჩარიცხული 14 პროფესიული სტუდენტიდან, პროფესიულ სტუდენტ N1-ს შეჩერებული აქვს სტატუსი დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N02/89 ბრძანებით, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის (evet.emis.ge) მონაცემებით აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხებოდა 14 პროფესიული სტუდენტი, რომელთაგანაც პროფესიული სტუდენტი N2 ბაზაში დაფიქსირებულია „ბუღალტერის“ პროფესიულ პროგრამაზეც. დაწესებულების განმარტებით, პროფესიული სტუდენტი N2 ბაზაში შეცდომით იქნა შეყვანილი „ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერატი)“ პროგრამაზე, რაც დასტურდება დირექტორის 2018 წლის 7 ივლისის N05/24 „ბუღალტერიის“ პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებით (დანართი 5). შეცდომის აღმოჩენის შემდეგ დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტი N2 გადაიყვანა „ბუღალტერიის“ პროგრამაზე, თუმცა ბაზაში პროგრამული ხარვეზის გამო, ფიქსირდება ორივე პროგრამაზე. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებამ შეატყობინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS).

ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს N05/30 ბრძანებით (დანართი 6) „ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერატი)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოირიცხა პროფესიული სტუდენტი N3, თუმცა ბაზაში ფიქსირდება როგორც სტატუსშეჩერებული.

დაწესებულებას დარღვეული აქვს სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი, რადგან სტუდენტ N3-ს არ წარმოუდგენია პირადი განცხადება ან რაიმე ცნობა, რომელიც იქნებოდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციის მიხედვით. დაწესებულების განმარტებით, სტატუსის შეჩერების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ პროფესიული სტუდენტი N3 იმყოფება საზღვარგარეთ და ამასთან დაკავშირებით მოხდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს N05/31 ბრძანებით (დანართი 7), ოფის „მენეჯერის (მდივან-რეფერატი)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან „კბილის ტექნიკოსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შიდა მობილობით, გადაყვანილ იქნა პროფესიული სტუდენტი N4 და N5-(დანართი 8).

"პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მუხლი 10-ის და „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 13-ის 1-ლი პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ „შიდა მობილობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში“.

დაწესებულებას დარღვეული აქვს შიდა მობილობის წესი, რადგან სტუდენტების მობილობა განახორციელეს სწავლის დაწყებამდე, გარდა ამისა არ არსებობს ნების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს აღნიშნული სტუდენტების სურვილს მობილობით სარგებლობასთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული პროფესიული სტუდენტები „კბილის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაცვლად, შეცდომით ჩარიცხეს ოფის „მენეჯერის (მდივან-რეფერატი)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და შეცდომის ამოფხვრის მიზნით განახორციელეს მობილობა სწავლის დაწყებამდე. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა პროფესიული სტუდენტი N4-ის განაცხადი, სადაც ის ითხოვს „კბილის ტექნიკოსის“ პროგრამაზე სწავლას. ხოლო პროფესიული სტუდენტი N5-ის განცხადება „კბილის ტექნიკოსის“ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის არ მოიძებნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დირექტორის 2016 წლის 8 სექტემბრის N05/09 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
3. დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს N05/31 ბრძანება მობილობასთან დაკავშირებით;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი - evet.emis.ge;
5. ინტერვიუ.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის IV თავის მიხედვით განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება და პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა“. აღნიშნული წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სკოლა-კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს მსგავს პროგრამაზე გადაყვანას. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სკოლა-კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას გაუქმებული პროგრამის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს სკოლა-კოლეჯის ფარგლებში სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა პროფესიულ დაწესებულებებში გადასვლას.

დაწესებულება არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი და გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის 1.5 პუნქტის მიხედვით ასოციაციაში შემავალი კოლეჯები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ იმ სტუდენტის სწავლის უწყვეტობა, რომელიც სწავლობდა მემორანდუმის მონაწილე ერთ-ერთ კოლეჯში და პროგრამა გაუქმებული ან შეცვლილი იქნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N05/16 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
2. თანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯებს შორის - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა–კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. კერძოდ, ხარისხის მართვის და ინოვაციის სამსახურის დებულება, სადაც გაწერილია სამსახურის დანიშნულება, მიზნები და ამოცანები, ფუნქციები, ხარისხის მართვის და ინოვაციის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. ასევე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განათლების ხარისხის და ინოვაციის სამსახურის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმაში პუნქტობრივად (13 პუნქტი) გაწერილია 2017-2018 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა.

ამას გარდა დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვისა და დასწრების ფორმები, ამ დოკუმენტების ანალიზის შედეგებს დაწესებულება იყენებს პროგრამების დახვეწისა და განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სკოლა-კოლეჯის 2017 წლის 5 სექტემბრის პედ. საბჭოს ოქმი #1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

2. სკოლა-კოლეჯის 2017 წლის 5 სექტემბრის დირექტორის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული "ხარისხის მართვის და ინოვაციის სამსახურის დებულება";
3. ხარისხის მართვის და ინოვაციის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
4. განათლების ხარისხის და ინოვაციის სამსახურის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას 2011 წლის 2 მაისს, შპს „თენ"-თან დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება 5 წლიანი ვადით, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N10 მისამართზე განთავსებული ფართის მეორე სართულზე არსებული 785 კვ. მ ფართის მფლობელობაში გადაცემის შესახებ. ასევე, 2016 წლის 2 მარტს დადებული აქვს შეთანხმება, აღნიშნულ ხელშეკრულებაში ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას მითითებული ფართით სარგებლობის უფლება აქვს 2022 წლამდე.

აღნიშნული ფართით სარგებლობის უფლება ასევე დასტურდება, საჯარო რეესტრის N 892018709212 ამონაწერით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს აზომვითი ნახაზი, რეესტრის ამონაწერი და იჯარის ხელშეკრულება.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N10	785

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2011 წლის 2 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება NTEN-5;
2. 2016 წლის 2 მარტს დადებული შეთანხმება;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი N892018709212 – 13/08/2018;
4. აზომვითი ნახაზი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალის“ დანართების მიხედვით, „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია A და B ტიპის გარემო.

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილი აქვს ორი A გარემოს ტიპის აუდიტორია (ერთი - „საფინანსო სერვისების“ პროგრამისთვის, ხოლო მეორე - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის) და ერთი B გარემოს ტიპის კომპიუტერული კლასი (ორივე პროგრამისთვის). ექსპერტების მიერ მოხდა სასწავლო ფართის და აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება, ასევე ინვენტარის და პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის მითითებული A გარემოს ტიპის აუდიტორიები უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და ინვენტარით, რომელთა რაოდენობა და მონაცემები იძლევა სასწავლო პროცესის სრულყოფილად და შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას, თითოეულ პროგრამაზე ერთჯერადად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით („საფინანსო სერვისების“ პროგრამისთვის განკუთვნილ A გარემოს ტიპის აუდიტორიაში არის: პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი 13 მერხი და 13 სკამი, ასევე 1 მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის განკუთვნილ A გარემოს ტიპის აუდიტორიაში არის: პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი 17 მერხი და 17 სკამი, ასევე 1 მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი).

B გარემოს ტიპის კომპიუტერული კლასში არის პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი 15 მერხი და სკამი, მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, პროექტორი და დინამიკები. კომპიუტერული კლასი აღჭურვილია „საფინანსო სერვისების“ პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. ასევე კომპიუტერებში ჩატვირთულია საბანკო სერვისების სიმულაციისთვის საჭირო პროგრამა.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამისთვის დაწესებულებას გააჩნია „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალის“ დანართით განსაზღვრული აღჭურვილობა, გარდა ანტისტატიკური ხალიჩისა (1 ცალი), დამცავი სამაჯურისა (3 ცალი) და ფუნჯისა (3 ცალი). დაწესებულების განმარტებით, ექსპერტების ვიზიტამდე ვერ შეძლეს აღნიშნული აღჭურვილობების შეძენა და ექსპერტებს წარუდგინეს 2018 წლის 24 აგვისტოს შპს „MBC”-სთან გაფორმებული ხელშეკრულება (დანართი 9), რომელის მიხედვითაც მყიდველი გამყიდველისგან ყიდულობს შემდეგ პროდუქციას: ანტისტატიკური ხალიჩა, კომპიუტერის გამწმენდი ფუნჯი და დამცავი სამაჯური. მხარეები თანხმდებიან, რომ გამყიდველი უზრუნველყოფს აღნიშნული პროდუქციის ჩამოტანას შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

მომწოდებლისგან და მის მიწოდებას მყიდველისთვის არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

აღსანიშნავია რომ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული აღნიშნული პროდუქციის რაოდენობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აღჭურვილობის შესყიდვის ხელშეკრულებები;
2. სასაქონლო ზედნადებები;
3. ვიზუალური დათვალიერება;
4. ინტერვიუ.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში აქვს ელექტოენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები (ბიჭებისთვის ცალკე, გოგონებისთვის ცალკე, ასევე შშმ პირებისთვის ადაპტირებული დამატებითი 1 სველი წერილი). დაწესებულების ყველა ოთახში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ასევე დამატებით აქვთ 6 ელექტრო გამათბობელი.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ელექტრო გამათბობლების სასაქონლო ზედნადებები და კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. გადახდის ქვითრებით;
2. სასაქონლო ზედნადებები;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ოთახში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლა-კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში ძირითადი ლიტერატურის გარდა განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

ბიბლიოთეკას აქვს ბუნებრივი განათების მქონე სამკითხველო დარბაზი, სადაც მოთავსებულია 2 დიდი მაგიდა და 8 სკამი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, მხოლოდ ერთი კომპიუტერი, რომელიც განკუთვნილია ბიბლიოთეკარისთვის, კომპიუტერში ჩატვირთულია ლიტერატურის ელექტრონული მასალები, რომელებიც ასევე ჩაწერილია CD დისკზე და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
2. ბიბლიოთეკის დებულება;
3. საინვენტარო წიგნი;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. ინტერვიუ.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის და სკოლა-კოლეჯის მართვისთვის იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ადმინისტრაციული მიზნებისთვის დაწესებულებას აქვს 3 პერსონალური კომპიუტერი, ერთი პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) და 2 მულტიფუნქციური პრინტერი. დაწესებულება ასევე აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, რომლებიც განლაგებულია როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. აღნიშნული კამერებისთვის დაწესებულებას აქვს 2 ცალი კამერების ჩამწერი (DVR), რომლებიც განთავსებულია დირექტორის ოთახში. დაწესებულება იყენებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრებს (evet.emis.ge; eschool.emis.ge), ასევე აქვს ვებ გვერდი (dimkipiani.edu.ge) და შესაბამისი ჰოსტინგი.

დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, აქვთ საკაბელო და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შპს „მაგთიკომთან“ და serv.ge-სთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რითიც დასტურდება ინტერნეტის და ჰოსტინგის მიწოდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა ინტერნეტთან წვდომის პრობლემა, კაბელით დაკავშირების შემთხვევაში ინტერნეტში შესვლა ხორციელდებოდა ხარვეზებით, ხოლო WiFi-ს შემთხვევაში კავშირი პრაქტიკულად არ იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტებს განუმარტა, რომ ეს იყო დროებითი ხარვეზი, რომელიც აქამდე არ დაფიქსირებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „მაგთიკომთან“ და serv.ge-სთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
2. სასაქონლო ზედნადებები;
3. ვიზუალური დათვალიერება;
4. ინტერვიუ.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-კოლეჯის „კანცელარიის დებულება“, რომლის მიხედვითაც კანცელარიის ფუნქციებს შეადგენს სკოლა-კოლეჯში ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა; კორესპონდენციის მიღება, რეგისტრირება, საექსპედიციო დამუშავება, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულება და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა; შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაცია და ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი.

აღნიშნული დებულების მიხედვით კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი. ამავე დებულებით განსაზღვრულია საქმიანი დოკუმენტაციის შიფრი, რომელიც განსაზღვრავს სკოლა-კოლეჯის ბრძანებების, შემოსული და გასული წერილების ნუმერაციას. დაწესებულებას ასევე აქვს აღრიცხვის და რეგისტრაციის ჟურნალები, სადაც აღრიცხულია და გატარებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბრძანების ჟურნალი არ იხურება წლის ბოლოს, ნუმერაცია უწყვეტია და წლიდან წლამდეა გაგრძელებული. ასევე დაწესებულების საშტატო განრიგის მიხედვით განსაზღვრულია საქმეთა მმართველის თანამდებობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული კანცელარიის უფროსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული „კანცელარიის დებულება“;
2. აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები;
3. ინტერვიუ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით შემუშავებულია „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და მოქმედების ტაქტიკა ხანძრის დროს“, ასევე განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო რგოლის უფროსი - ლევან ბრეგვაძე - სპორტის მასწავლებელი. სკოლა-კოლეჯში განთავსებულია ორი ხანძარსაწინააღმდეგო ყუთი, რომლებიც აღჭურვილია წყლის ჭავლისთვის საჭირო ონკანით და შესაბამისი სახანძრო მილით. დაწესებულებას ასევე აქვს 3 ცალი ცეცხლმაქრი, რომელიც დადგმულია საევაკუაციო გეგმაში მითითებულ ლოკაციაზე.

ბ) დაწესებულებას თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმა, რომელიც ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ არის შემუშავებულია და გადაცემული აქვს მფლობელობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გ) დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებულია ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საშტატო განრიგი, სადაც მითითებულია ექთნის თანამდებობა. დაწესებულებას აქვს სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია მედიკამენტებით, გასაშლელი საწოლით და ბალიშით.

დ) სკოლის შინაგანაწესის მიხედვით წესრიგზე ზრუნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დისციპლინის ოფიცერი და კლასის დამრიგებელი. ასევე დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით განსაზღვრულია სამოქალაქო თავდაცვის უფროსის ფუნქციები, ამავე ბრძანებით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - გიორგი ობგაიძე. დაწესებულება აღჭურვილია კამერებით შიდა და გარე პერიმეტრზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დამტკიცებული "შინაგანაწესი";
2. 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და მოქმედების ტაქტიკა ხანძრის დროს“;
3. 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული "სამოქალაქო თავდაცვის უფროსის ფუნქციები";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

4. 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული "ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქციები";
5. 2017 წლის 5 სექტემბრის N02/03 ბრძანებით დამტკიცებული "საშტატო განრიგი;
6. შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმა
7. ვიზუალური დათვალიერება;
8. ინტერვიუ.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის. შენობის მთავარ შესასვლელში, ასასვლელ კიბეზე მოწყობილია პანდუსი, შენობის შიგნით, მეორე სართულზე ასვლისთვის კი განთავსებულია ლიფტი. შენობის პირველ სართულზე არის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც გათვლილია საერთო სარგებლობისთვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას აღნიშნული სველი წერტილით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიუ.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ვებ გვერდის შესწავლა (www.dimkipiani.edu.ge). ვებ გვერდზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თბილისი, 2018

საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი), ასევე დაწესებულების მისია, შინაგანაწესი, წესდება-დებულება, 2017-2018 წლის პროგრამების კატალოგი, პროგრამების სილაბუსები, გალერეა და კონტაქტი.

ვებ გვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ბოლო სიახლე განთავსებულია 2018 წლის 23 აგვისტოს. ვებგვერდი სრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდზე არ არის განთავსებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებ გვერდი - www.dimkipiani.edu.ge

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა-კოლეჯს შემუშავებული აქვს სკოლა-კოლეჯის განვითარების ორი გრძელვადიანი 2017-20123 წ. (ექვსწლიანი) გეგმა - სკოლისთვის და პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულებით. ორივე გეგმა დამტკიცებულია 2017 წლის 26 ივნისის პედსაბჭოზე(ოქმი N9) ბრძანებებით N05/23 და N02/191. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გეგმაში ხდება ძირითადი მიმართულებებისა და აქტივობების დუბლირება, ამიტომ ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ მოხდეს დაწესებულების მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმების გაერთიანება, დახვეწა და მასში აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები მოიცავს მიმართულების ძირითად მიზნებს, ამოცანებს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ინოვაციურ საქმიანობებში, მმართველობით საქმიანობაში. წარმოდგენილია გრძელვადიანი ამოცანები, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. თუმცა გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა წარმოდგენილია ნარატიულად, ნაწილობრივ ჩაშლილია წლების მიხედვით, დაგეგმილი აქტივობები არ არის მკაფიო, არ არის დაზუსტებული პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდები და გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროფესიული მიმართულების განვითარების 2018-2019 წლის გეგმა, რომელიც ეფუძნება 2017-2018 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს SWOT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამოქმედო გეგმა დამტკიცებული 2018 წლის 19 ივნისს ბრძანებით N05/19, თუმცა გეგმაში აქტივობები მაისიდანაა დაგეგმილი.

გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯს დამტკიცებული აქვს მისია, რომელიც გაბნეულია რამდენიმე ნორმატიულ დოკუმენტში. სკოლა-კოლეჯი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ასევე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება ყოველწლიურად და მისია, წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, ამიტომ მას ცალკე დამტკიცება არ ესაჭიროება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სკოლა-კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი 2017-20123 წ. (ექვსწლიანი) გეგმები;
2. პროფესიული მიმართულების განვითარების 2018-2019 წლის გეგმა.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დამტკიცებული "შინაგანაწესის", მუხლი 9-ის მეორე პუნქტით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის და სკოლის პედაგოგების სამსახურში მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი (განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომი ან ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, CV (რეზიუმე), ფოტოსურათი - 1 ც. (3X4), სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა, პრაქტიკოსი, ან უფროსი მასწავლებლის დამადასტურებელი სერთიფიკატი (სკოლის პედაგოგებისათვის), ხელშეკრულება, კადრების აღრიცხვის ბარათი).

პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში არ არის პერსონალის განცხადება მიღების თაობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი მოთხოვნა გაკეთებულია სხვა თანამდებობაზე.

დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-კოლეჯის „წესდება (დებულება)“, სადაც განსაზღვრულია დაწესებულების პერსონალის ფუნქციები, ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ბუღალტრის და ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქციები. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ამიტომ კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოხდა შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. დაწესებულების პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) კვალიფიკაციები შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით სკოლა-კოლეჯს ჰყავს 86 მოქმედი მოსწავლე, საიდანაც 55 არის პროფესიული სტუდენტი. ასევე 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 მოდულური პროგრამების განმახორციელებელია.

დაწესებულებას ასევე ჰყავს 3 განმახორციელებელი მოდულური პროგრამებისთვის (თეიმურაზ კვინიკაძე, შორენა ტაბატაძე, ნინო ჩუბინიძე), რომლებიც არ არინ შეყვანილი ბაზაში.

დაწესებულების მოთხოვნილი ჯამური კვოტა „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არის 55, ხოლო აღნიშნული პროგრამების განმახორციელებლების რაოდენობა - 11.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეები
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრი (evet.emis.ge),

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

თბილისი, 2018

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება და დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N02/97 ბრძანებით დამტკიცებული "შინაგანაწესის" (მუხლი 9 - პროფესიული პროგრამების და სკოლის პედაგოგების სამსახურში მიღების წესი და მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი) მიხედვით. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და გამოცემულია დირექტორის ბრძანებები დანიშვნის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციასთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის ცალკე პუნქტი, სადაც მითითებული იქნება განხორციელების ადგილი. ასევე „საფინანსო სერვისების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებთან დადებული ხელშეკრულებების ვადა არის 1 წელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. ბრძანებები დანიშვნის შესახებ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2018

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვან სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა /Information Technology	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (040171)	62	77	ქართული	ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N10	0	30
2	საფინანსო სერვისები - Finance services	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში (020456)	51	66	ქართული	ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N10	0	25

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. პროგრამების დამტკიცების აქტი

დანართი 3. ჩარიცხვის ბრძანება N05/25

დანართი 4. ჩარიცხვის ბრძანება N05/26

დანართი 5. ჩარიცხვის ბრძანება N05/24

დანართი 6. სტატუსის შეჩერება ბრძანება N05/30

დანართი 7. მობილობის ბრძანება N05/31

დანართი 8. სტუდენტების ჩანაწერი რეესტრიდან

დანართი 9. ხელშეკრულება შპს „MBC“

დანართი 10. 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

თარიღი 27/09/2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018